# შეთანხმების აქტი

ქ. ლაგოდეხი 20.05.2015 წ.

ერთის მხრივ ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის გამგეობა, გამგებლის პირველი მოადგილის გიორგი ბოკერიას/შემდგომში „შემსყიდველი“/ სახით და მეორეს მხრივ შ.პ.ს „ნიუმშენი“, მისი დირექტორის არჩილ მაზიაშვილის /შემდგომში „მიმწოდებელი“/ სახით ვთანხმდებით შემდეგზე:

ა) 2015 წლის 23 მარტს გაფორმებული N45 ხელშეკრულების თანდართული ხარჯთაღრიცხვა ჩანაცვლდეს „შემსყიდველი“-ს მიერ წარმოდგენილი კორექტირებული ხარჯთაღრიცხვით.

ბ) ხელშეკრულების 3.1, 5.2 და 22.1 პუნქტში შევიდეს ცვლილება და აღნიშნული პუნქტები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

3.1 ხელშეკრულების საერთო ღირებულება შეადგენს 48428(ორმოცდა რვა ათას ოთხას ოცდა რვა) ლარს.

5.2 სამუშაოს დასრულების ვადაა ხელშეკრულების გაფორმებიდან 75 კალენდარული დღე.

22.1 წინამდებარე ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა მიერ ხელმოწერისთანავე და მოქმედება 2015 წლის 7 ივლისამდე.

(საფუძველი: ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის ქონების მართვის, ეკონომიკური განვითარების, სტატისტიკის, ინფრასტრუქტურის, სივრცითი მოწყობის, არქიტექტურისა და მშენებლობის უფროსის მომართვა N 148, 13.05.2015წ; ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის გამგეობის ინსპექტირების ჯგუფის განმარტებითი ბარათი 20.05.2015წ)

სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ზემოთხსენებული ხელშეკრულებით გათვალისწინებული სხვა პირობები რჩება უცვლელი.

წინამდებარე დანართი შედგენილია თანაბარი იურიდიული ძალის მქონე 3 (სამი) იდენტურ ეგზემპლიარად და წარმოადგენს მხარეთა შორის 2015 წლის 23 მარტს გაფორმებული N45 ხელშეკრულების ნაწილს.

| | |
|---|---|
| ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის<br>გამგებლის პირველი მოადგილე | შ.პ.ს „ნიუმშენი“ -ს<br>დირექტორი |
| გიორგი ბოკერია | არჩილი მაზიაშვილი |

ვ-ნ
ზურაბ ბაბუნაშვილს
გთხოვთ შეისწავლოთ
ა კ. 13.05.15წ.

# ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის გამგეობის

## ქონების მართვის, ეკონომიკური განვითარების, სტატისტიკის, ინფრასტრუქტურის, სივრცითი მოწყობის, არქიტექტურისა და მშენებლობის სამსახური


2700 ქ.ლაგოდეხი, 26 მაისის ქ. N25 ტელ.:(354) 22 30 20
26 Maisi str №25, Lagodekhi, 2700


№148 „ 13 „ მაისი 2015 წ

ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის გამგებელს
ბატონ კარლო ჯამბურიას
ასლი: ზედამხედველობის სამსახურს

მოგახსენებთ რომ, ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის გამგეობასა და შ.პ.ს. ნიუმშენს შორის 2015 წლის 23 მარტს გაფორმებული N45 ხელშეკრულების შესაბამისად ორგანიზაცია აწარმოებს სოფ. აფენის საბავშვო ბაღის მე-2 ეტაპის საამშენებლო სამუშაოებს.

აღნიშნული ობიექტის დასრულების სამუშაოების მე-3 ნაწილის საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის თავდაპირველმა ვერსიამ, რომელიც ფინანსდება საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან, განიცადა რედაქტირება თანამედროვე სტანდარტების გათვალისწინებით.

ყოველივე ზემოთაღნიშნულთან დაკავშირებით საჭიროთ მიგვაჩნია, ახლად აღმოჩენილი გარემოებების გამო, სოფ. აფენის საბავშვო ბაღის მიმდინარე საამშენებლო სამუშაოები გაგრძელდეს წარმოდგენილი კორექტირებული ხარჯთაღრიცხვის/თან ერთვის/ შესაბამისად.

დანართი: 5 ფურცელი

პატივისცემით

სამსახურის უფროსი: [signature] გიორგი ჩალათაშვილი

საქართველო.
ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის გამგეობა.
შემოს. № 1021
„13" 05 2015წ.

შემსრულებელი: ნ.მაჭარაშვილი

ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის გამგეობის ქონების მართვის, ეკონომკური განვითარების, სტატისტიკის ინფრასტრუქტურის სივრცითი მოწყობის, არქიტექტურისა და მშენებლობის სამსახურის უფროსს გიორგი ჩალათაშვილს

ჩემს მიერ შესწავლილი იქნა 02.05.2015 წლის მონიტორინგის ჯგუფის მოხსენებითი ბარათში მოყვანილი ფაქტი ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის გამგეობასა და შ.პ.ს. „ნიუმშენს" შორის 2015 წლის 23 მარტს გაფორმებული N45 ხელშეკრულების შესაბამისად ორგანიზაცია აწარმოებს სოფ.აფენის საბავშვო ბაღის მე-2 ეტაპის სამშენებლო სამუშაოებს.

აღნიშნული ხელშეკრულებით შესასრულებელმა სამუშაოებმა მე-2 ნაწილში განიცადა ნაწილობრივი ცვლილება, რომელიც ფინანსდება სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფონდიდან. კერძოდ საბავშვო ბაღის შენობის გაბარიტების გაზრდამ თანამედროვე სტანდარტების გათვალისწინებით(ბავშვების სათამაშო ვერანდების მომატებით) გამოიწვია შენობის სახურავის ფართის გაზრდა. იმის გამო, რომ საბავშვო ბაღის მშენებლობა გრძელდება მე-3 ეტაპზე (შედგენილი ხარჯთაღრიცხვა), რომელშიც ასახულია სახურავის მოწყობა გაზრდილი გაბარიტების გათვალისწინებით. აღნიშნული სამუშაოები ფინანსდება რეგიონალური განვითარების ფონდიდან.

ყოველივე ზემოთ აღნიშნულისა მიზანშეწონილად მიმაჩნია მე-2 ნაწილის სამშენებლო სამუშაოები შესრულდეს საპროექტო ორგანიზაცია შ.პ.ს. „არქმშენპროექტის" მიერ წარმოდგენილი კორექტირებული ხარჯთაღრიცხვით.

მთ.სპეციალისტი: ნ. მჭ. წუგზარი მაჭარაშვილი

საქართველო. ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის გამგეობა.
GEORGIA
MUNICIPAL ADMINISTRATION OF LAGODEKHI
№ 1915 18 05 15

ნიუმშენი

საქართველო * შპს "ნიუმშენი"                GEORGIA * " NEWMSHENI " LTD

18 მაისი 2015 წელი                № 3

20.05.15

ლაგოდეხის მუნიციპალიუტეტის
გამგებელს
ბ-ნ კარლო ჯამბურიას

ბატონო კარლო,

როგორც თქვენთვის ცნობილია, მიმდინარე წლის 23 მარტს ხელმოწერილ იქნა №45 ხელშეკრულება ლაგოდეხის მუნიციპალიტეტსა და შპს "ნიუმშენს" შორის სოფ აფენში საბავშო ბაღის სამშენებლო სამუშაოების შესრულების თაობაზე.

ხელშეკრულების თანახმად სამუშაოების დასრულება გათვალისწინებულია 2015 წლის 22 მაისს. თუმცა საქართველოში არსებულმა კლიმატურმა პირობებმა კერძოდ წყალდიდობამ და ხშირმა წვიმებმა ხელი შეგვიშალა სამუშაოების დროულად განხორციელებაში.

გთხოვთ გაითვალისწინოთ ზემოთ აღნიშნული გარემოებები და გაგვიგრძელოთ ობიექტის დასრულების ვადა 20 დღით.

ი.ხ დანართი 4 ფურცელი

პატივისცემით:

შ.პ.ს. „ნიუმშენის"-ს
დირექტორი:                / ა. მაზიაშვილი /

GEORGIA * NEWMSHENI
404044134
A&G

ქ.თბილისი ზაზიშვილის ქ №1 ტელ. მობ. 858539193; 899675703
Zazishvili str #1 Tbilisi Tel. Mobile: 858539193; 899675703





ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის გამგეობის
საფინანსო–საბიუჯეტო, ჯანდაცვისა და
სოციალურ საკითხთა სამსახურის
უფროსს ბატონ გიორგი მანგოშვილს

ახსნა–განმარტებითი ბარათი

20.05.2015წ

ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის გამგეობაში შემოსული თქვენი მომართვის /შემ:N01-20/33 პასუხად განგიმარტავთ, რომ ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის გამგებელს კარლო ჯამბურიასა და შ.პ.ს ,,ნიუმშენი"–ს დირექტორს არჩილ მაზიაშვილს შორის 2015 წლის 23 მარტს გაფორმებული N45 ხელშეკრულების თანახმად, სადაც შ.პ.ს ,,ნიუმშენი" ახორციელებს სოფ.აფენში საბავშვო ბაღის სამშენებლო სამუშაოებს. აღნიშნულ სამუშაოებზე კონტროლი გვევალება ინსპექტირების ჯგუფს. კახეთში მეტეოროლოგიური პირობების გაუარესებიდან გამომდინარე მაისის თვეში, კერძოდ 8 მაისიდან 17 მაისის ჩათვლით გადაუღებელი წვიმების გამო შეჩერებული იყო საბავშვო ბაღის მშენებლობის პროცესი.

ინსპექტირების ჯგუფის

უფროსი: /ალექსი ჭანკოტაძე/

ჯგუფის წევრები: /ზონდო ბოჭორიშვილი/

/ვალერი ხუციშვილი/

/კახა მეტრეველი/

/დავით მერმანიშვილი/

## ხარჯთაღრიცხვა

საბავშო ბაღი (75 ბავშვზე) სოფ. აფენში – ნაწილი II

| № | ნორმატივი, შიფრი | სამუშაოების და დანახარჯების დასახელება | გან-ბა | რაოდენობა | | ღირებულება | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | | | | | მასალა | | ხელფასი | | მექანიზმი ტრანსპორტი | | სულ |
| | | | | ნორმატივის ერთეულზე | სულ | ერთეულის ფასი | სულ | ერთეულის ფასი | სულ | ერთეულის ფასი | სულ | |
| 1 | 2 | 3 | 4 | 5 | 6 | 7 | 8 | 9 | 10 | 11 | 12 | 13 |
| 1 | სნ და წ 8-15-1 | კედლების წყობა სტანდარტული (39*19*19სმ) ზომის წვრილი სამშენებლო ბლოკით 158,8+15,36 | მ3 | | 174,16 | | | | | | | |
| | საბაზრო | შრომითი დანახარჯი 3,36*2,25 | კ/სთ | 7,56 | 1316,65 | | | 4,6 | 6056,588 | | | 6056,59 |
| | | მანქანები | მნ | 0,92 | 160,23 | | | | | 3,2 | 512,72704 | 512,73 |
| | 4,1-348 | ცემენტის ხსნარი | მ3 | 0,11 | 19,16 | 80 | 1532,61 | | | | | 1532,61 |
| | 4,1-33 | წვრილი სამშენებლო ბლოკი 71,028*0,97 | მ3 | 0,92 | 160,23 | 68,9 | 11039,65 | | | | | 11039,65 |
| | | სხვა მასალები | მნ | 0,16 | 27,87 | 3,2 | 89,17 | | | | | 89,17 |
| | | სულ | | | | | | | | | | 19230,75 |
| 2 | სნ და წ 6-15-9 | კედლების თავზე (2,70 მ ნიშნულზე) სეისმოლოგიური სარტყელის მოწყობა მონოლითური რ/ბით | მ3 | | 22,54 | | | | | | | |
| | საბაზრო | შრომითი დანახარჯი 8,54*1,75 | კ/სთ | 14,945 | 336,86 | | | 4,6 | 1549,56 | | | 1549,56 |
| | | მანქანები | მნ | 1,06 | 23,89 | | | | | 3,2 | 76,46 | 76,46 |
| | 1,1-25 | არმატურა Φ14 A-III | გმ | | 928,40 | 1,42 | 1318,33 | | | | | 1318,33 |
| | 1,1-14 | არმატურა Φ6 A-I | გმ | | 1511,30 | 0,28 | 423,16 | | | | | 423,16 |
| | 4,1-312 | ბეტონი | მ3 | 1,015 | 22,88 | 96 | 2196,30 | | | | | 2196,30 |
| | 5-138 | ყალიბის ფარები | მ2 | 1,4 | 31,56 | 12,25 | 386,56 | | | | | 386,56 |

| | 2 | 3 | 4 | 5 | 6 | 7 | 8 | 9 | 10 | 11 | 12 | 13 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | 5-9 | დახერხილი ხე მასალა | მ3 | 0,0145 | 0,33 | 460 | 150,34 | | | | | 150,34 |
| | 1,10-15 | ელექტროდი | კგ | 2,5 | 56,35 | 3 | 169,05 | | | | | 169,05 |
| | 1,9-51 | სასხვენო გადახურვის სამაგრი ჩასატანებელი დეტალები | კგ | | 34,60 | 2,6 | 89,96 | | | | | 89,96 |
| | | სხვა მასალები | მნ | 0,74 | 16,68 | 3,2 | 53,37 | | | | | 53,37 |
| | | სულ | | | | | | | | | | 6413,09 |
| | სნ და წ 6-9-6 | სეისმოლოგიური სარტყელის ბეტონირების პროცესში ბეტონში ჩასატანებელი დეტალების ჩაყენება 7,9*10*0,001 | ტნ | | 0,079 | | | | | | | |
| | | შრომითი დანხარჯი | კ/სთ | 39,2 | 3,0968 | | | 4,6 | 14,25 | | | 14,25 |
| 3 | | მანქანები | მნ | 14,8 | 1,1692 | | | | | 3,2 | 3,74 | 3,74 |
| | 1,1-12 | არმატურა დ-16 A-III | ტნ | | 0,016 | 1307 | 20,912 | | | | | 20,91 |
| | 1,6-21 | ფურცლოვანი ფოლადი | ტნ | | 0,063 | 1690 | 106,47 | | | | | 106,47 |
| | 1,10-14 | ელექტროდი | კგ | | 4,2 | 3 | 12,6 | | | | | 12,60 |
| | | სხვა მასალები | მნ | 0,4 | 0,0316 | 3,2 | 0,10 | | | | | 0,10 |
| | | სულ | | | | | | | | | | 158,07 |
| | სნ და წ 10-9-1 (მიყენებით) | სასხვენო გადახურვა ხის კოჭებით | 100 მ2 | | 5,15 | | | | | | | |
| | საბაზრო | შრომითი დანახარჯი 94,1*0,2 | კ/სთ | 18,82 | 96,92 | | | 4,6 | 445,8458 | | | 445,85 |
| | | მანქანები 14*0,5 | მნ | 7 | 36,05 | | | | | 3,2 | 115,36 | 115,36 |
| 4 | 5-104 | ხის კოჭები 476,25*1,01 | გმ | | 481,01 | 10,75 | 5170,86 | | | | | 5170,86 |
| | 4,2-54 | ანტისეპტიკური საღებავი 17,5*0,5 | კგ | 8,75 | 45,06 | 3 | 135,19 | | | | | 135,19 |
| | 4,1-364 | ტოლი 52,5*0,25 | მ2 | 13,13 | 67,62 | 1,7 | 114,95 | | | | | 114,95 |
| | 1,1-36 | მავთული დ-4-5 მმ 26*0,33 | კგ | 8,58 | 44,19 | 1,8 | 79,54 | | | | | 79,54 |
| | | სხვა მასალები | მნ | 7,94 | 40,89 | 3,2 | 130,85 | | | | | 130,85 |
| | | სულ | | | | | | | | | | 6192,59 |

| 1 | 2 | 3 | 4 | 5 | 6 | 7 | 8 | 9 | 10 | 11 | 12 | 13 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 5 | სრფ 13 | სამშ. ასალები ტრანსპორტირება ქ. თბილისიდან 140 კმ-დე მანძილზე | ტნ | 20,97 | | | | | | 38,44 | 806,0868 | 806,09 |
| | | სულ | | | | | | | | | | 806,09 |
| 6 | სრფ 13 | იგივე ინერტული მასალების მდ. აბლის კარიერიდან (ქვისამტვრევიდან ) 10 კმ-დე მანძილზე | ტნ | 85,78 | | | | | | 5,35 | 458,923 | 458,92 |
| | | სულ | | | | | | | | | | 458,92 |
| 7 | | იგივე წვრილი სამშენებლო ბლოკის ადგილობრივი საამქროებიდან იგივე 10 კმ-დე მანძილზე | ტნ | 170,71 | | | | | | 5,35 | 913,2985 | 913,30 |
| | | სულ | | | | | | | | | | 913,30 |
| | | სულ | | | | | | | | | | 34172,81 |
| | | ზედნადები ხარჯები | % | | 10 | | | | | | | 3417,28 |
| | | სულ | | | | | | | | | | 37590,09 |
| | | გეგმიური მოგება | % | | 6 | | | | | | | 2255,41 |
| | | სულ | | | | | | | | | | 39845,49 |
| | | გაუთვალისწინებელი ხარჯები | % | | 3 | | | | | | | 1195,36 |
| | | სულ | | | | | | | | | | 41040,86 |
| | | დღგ | % | | 18 | | | | | | | 7387,35 |
| | | სულ | | | | | | | | | | 48428,21 |

შ.პ.ს. „არქმშენპროექტი+"
შეადგინა ხარჯთაღმრიცხველი: /ზ. თანდილაშვილი/
შეამოწმა დირექტორი: /მ. ალადაშვილი/